საქართველოს მთავრობის

განკარგულება №951

2017 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გასაფორმებელი გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტის – „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (United Nations Convention on Climate Change - UNFCCC) მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა (Fourth National Communication) და მეორე ორწლიანი განახლებული ანგარიშის (Second Biennial Updated Report) შემუშავების“ თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გასაფორმებელი გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტი „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (United Nations Convention on Climate Change - UNFCCC) მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა (Fourth National Communication) და მეორე ორწლიანი განახლებული ანგარიშის (Second Biennial Updated Report) შემუშავება“.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, გიგლა აგულაშვილს, საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გასაფორმებელ გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტს „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (United Nations Convention on Climate Change - UNFCCC) მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა (Fourth National Communication) და მეორე ორწლიანი განახლებული ანგარიშის (Second Biennial Updated Report) შემუშავება“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**